



**ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო**



**გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 199  
---**

1 ივნისი  
“ --- ” ----- 2021 ♡

**ქ. თბილისი**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა“, დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება, 1 (ერთი) თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების  
უზრუნველყოფის

2021-2024 წწ. სამოქმედო გეგმა

შინაარსი

I.	შესავალი .....	3
II.	მიზანი .....	3
III.	ხედვა და პრინციპები .....	4
IV.	ძირითადი ფაქტები და არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.....	5
V.	სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტული ამოცანები .....	6
VI.	სამოქმედო გეგმა.....	9

## აბრევიატურები:

ჯდმსს-ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური  
გდსს - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური  
ეგსს - ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური  
იგსს - ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური  
კგსასსს - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური  
მშსს - მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური  
ისს - იურიდიული საქალაქო სამსახური  
მი - მუნიციპალური ინსპექცია  
რგ - რაიონული გამგეობები  
სსიპ ქთმას- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური  
სსიპ ტუგს - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო  
სსიპ ქმს - ქონების მართვის სააგენტო  
შპს თსკ - თბილისის სატრანსპორტო კომპანია  
ა(ა)იპ თგფ - თბილისის განვითარების ფონდი  
ა(ა)იპ თსბზმს - თბილისის საზღვარგარე-ზღვარგარე მართვის სააგენტო  
ა(ა)იპ მსგს - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო  
ა(ა)იპ სდმუს - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური  
ა(ა)იპ თპგც - თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი  
ა(ა)იპ სმს - სოციალური მზრუნველობის სააგენტო  
ა(ა)იპ თმგ - თბილისის მუზეუმების გაერთიანება  
ა(ა)იპ თმლ - თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია  
ა(ა)იპ ქთმმზგ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება  
პჯდ - პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება  
გსმ - განსხვავებული/განსაკუთრებული საჭიროების მქონე  
სსსმ - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე  
შშმპირი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი  
მტშ - მოკლე ტექსტური შეტყობინება

## I. შესავალი

თანამედროვე ქალაქის აუცილებელი მახასიათებელია საზოგადოებრივი სერვისების მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს ქალაქის ინფრასტრუქტურით, საჯარო თუ კერძო ობიექტებითა და სერვისებით მარტივი სარგებლობის შესაძლებლობას ყველასათვის. ასეთი ტიპის ქალაქის განვითარება კი შეუძლებელია კარგად გააზრებული ხედვისა და მიზანმიმართული, კოორდინირებული სტრატეგიული გეგმის გარეშე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში ქ. თბილისის) 2021-2024 წლების შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) წარმოადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით შემუშავებულ პირველ ასეთ დოკუმენტს.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია კონკრეტული, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი ღონისძიებები. პასუხისმგებელი უწყებებისთვის ის წარმოადგენს გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის. იგი ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, ითვალისწინებს გაერთიანებული ერების 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას“ ( შემდგომში - კონვენცია) და 2020 წელს მიღებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის“ პრინციპებს.

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი და უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან კონსულტაციებით და ასახავს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს.

სამოქმედოგეგმის შემუშავების პერიოდს დაემთხვა საქართველოში კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები და შეზღუდვები. ამ დროისთვის ჯერ კიდევ რთული საპროგნოზო მიყენებული ზიანის მასშტაბებები, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი და გავლენა განვითარების შესაძლებლობებზე. მიუხედავად ამისა, დოკუმენტში მოცემული ღონისძიებების გადაუდებელი განხორციელების საჭიროება ეჭვის ქვეშ ვერ დადგება. პირიქით, არსებულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო ცხადი გახადა შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის აქტუალობა.

## II. სამოქმედო გეგმის მიზანი

სამოქმედო გეგმის მიზანია ქ.თბილისის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირების სხვათა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებით. კერძოდ, იმ ბარიერების აღმოფხვრით ან შემცირებით, რომელიც ხელს უშლის შშმ პირებს სხვათა თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებასა და შექმნაში.

### III. ხედვა და პრინციპები

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციით განსაზღვრულ ინკლუზიის პრინციპებს. ემყარება შეზღუდული შესაძლებლობების სოციალურ პარადიგმას და აღიარებს, რომ შშმ პირთათვის არათანაბარ საარსებო გარემოს, - შეზღუდულ შესაძლებლობებს, განაპირობებს არა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ საზოგადოების მიერ შექმნილი და/ან იგნორირებული სხვადასხვა ტიპის (მ.შ. ფიზიკური, სოციალური, საკომუნიკაციო) ბარიერები. ამასთან, შეზღუდვის სხვადასხვა ტიპი (ფიზიკური, კოგნიტური, სენსორული, ფსიქო-სოციალური) შესაძლოა განპირობებული და გაძლიერებული იყოს ასაკობრივი, გენდერული, სოციალური ფაქტორებით, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას.

ქალაქის მაცხოვრებელთა და მისი სტუმრების ინტერესია თბილისი იყოს ინკლუზიური და შესაძლებლობების ქალაქი ყველასათვის, დისკრიმინაციის გარეშე. ეს ნიშნავს უფრო ძლიერ, სამართლიან, თანასწორ, უკეთეს ქალაქს ცხოვრებისა და მუშაობისთვის, სადაც ყველა შშმ პირის ინტერესი და საჭიროება გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების, ყველა პროგრამისა და სერვისის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე. ისევე, როგორც მოცემული სამოქმედო გეგმის შემუშავების, აღსრულების და მონიტორინგისას.

სერვისები და ინფორმაცია მისაწვდომი უნდა იყოს თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებლის და ქალაქის სტუმრისთვის, რისთვისაც გამოყენებული იქნება გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის თანამედროვე მიდგომები.

სამართლიანობა, ინკლუზია და პატივისცემა უნდა იყოს ყველა მოქმედების ღერძი, რისთვისაც საჭიროა:

- მენისტრიმულ სერვისებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი სისტემებისა და ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებით, ადაპტირებით და მათში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და რაიონულ გამგეობებში შშმ პირთა საჭიროებებზე გადამისამართების პროაქტიული მოქმედების პრაქტიკის დამკვიდრება;
- მერიის სამსახურებსა თუ მუნიციპალური პროგრამების შესრულების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით;
- ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე პირთა და მათი მეურვეების/ასისტენტების ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და საიმედო ტრანსპორტზე, მისაწვდომ და ადეკვატურ პარკინგზე, მისაწვდომ საზოგადოებრივ ადგილებსა და სივრცეებზე, სპორტული აქტივობის და დასვენების შესაძლებლობებზე, როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ფინანსურად და სწავლებით;
- კერძო ბიზნესის ცნობიერების გაზრდა, მათ პროდუქტებსა და სერვისებზე შშმ პირთა წვდომის (როგორც ფიზიკურ, ასევე დისტანციურ) სარგებლიანობასთან დაკავშირებით;
- ხარისხიანი და მიზანზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებზე წვდომა;

- კულტურულ, სპორტულ, რეკრეაციულ აქტივობებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;
  - შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესაცვლელად საზოგადოების და შშმ პირთა ოჯახების ცნობიერების გაზრდა;
  - ინკლუზიის საკითხების მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი და ანგარიშგება.
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას ექნება სოციალური და ეკონომიკური სარგებელი იმით, რომ:
- გაიზრდება მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი, საზოგადოებრივი სერვისებისა და ობიექტების მისაწვდომობა და გამოყენება;
  - გაიზრდება მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, დასაქმების შესაძლებლობები, სოციალური აქტიურობა და ჩართულობა;
  - შემცირდება დისკრიმინაცია, გარიყულობა და მოწყვლადობა;
  - გაუმჯობესდება ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების ხარისხი და კეთილდღეობა;
  - ქ.თბილისში თვალსაჩინო წარმატების მიღწევა მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის მასშტაბით - რეგიონებში შშმ პირთა უფლებების გაეროს კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და მოთხოვნების პროგრესული დანერგვის სტიმულირებისთვის.

#### IV. ძირითადი ფაქტები და არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ცნობილია, რომ საქართველოში არ არსებობს შშმ პირთა რაოდენობის, მათი შეზღუდვის პროფილისა და ხარისხის შესახებ ზუსტი მონაცემები. ერთადერთ ოფიციალურ მონაცემს წარმოადგენს შშმ სტატუსის გამო სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, ამიტომ რეალობასთან უფრო მიახლოებული მონაცემებისგან საზღვრისთვის გამოყენებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები (საშუალოდ 10-15%-ის ფარგლებში). შესაბამისად, ქ. თბილისის შემთხვევაში, 1,184,800<sup>1</sup> მოსახლეობით, ეს რიცხვი 177,720-მდე პირს უნდა შეადგენდეს. შშმ პირის სტატუსის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა კი 2021 წლის იანვრის მონაცემებით, შეადგენს 30,205 პირს<sup>2</sup>. მ.შ. მკვეთრი შეზღუდვის-7,294, მნიშვნელოვანი შეზღუდვის-16,208 და შშმ ბავშვი-3,918, ხოლო 2,785 პირი არის ზომიერი შშმ საფუძვლით ბავშვობიდან პენსიის მიმღები.

რაც შეეხება შეზღუდვის ტიპს, ამასთან დაკავშირებით ერთადერთი არსებული წყაროა 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები, რომლის თანახმად, ქ.თბილისში არის (თვითიდენტიფიცირებული) 24,568 მნიშვნელოვნად და 2,125 სრულად მხედველობის დარღვევის მქონე პირი, სმენის მნიშვნელოვანი დარღვევით 8,634 და სრულად დარღვევით 1,360 პირი, გადაადგილების და კოორდინაციის მნიშვნელოვანი დარღვევით 14,145 და სრული დარღვევით 3,882 პირი. ცნობიერების, კონცენტრირების და მეხსიერების მნიშვნელოვანი დარღვევით 4,516, ხოლო სრული დარღვევით 1,138 პირი. კომუნიკაციის უნარის მნიშვნელოვანი დარღვევით 3,163, სრული დარღვევით-1,366 პირი. თვითმომსახურების უნარის მნიშვნელოვანი დარღვევით 5,554, ხოლო სრული დარღვევით-3,651 პირი. (ნაწილობრივი დარღვევებით, შესაბამისად: 122,594; 37,625; 31,618; 15,385; 8,176; 11,871)

<sup>1</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

<sup>2</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=1535](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1535)

სულ მოსახლეობა ქ.თბილისი			1,108,717
მხედველობისდარღვევით	149,289	ცნობიერების, კონცენტრირების დამახინჯებისდარღვევით	21,039
ნაწილობრივ	122,594	ნაწილობრივ	15,385
მნიშვნელოვნად	24,568	მნიშვნელოვნად	4,516
სრულად	2,125	სრულად	1,138
სმენისდარღვევით	47,619	კომუნიკაციისუნარისდარღვევით	12,705
ნაწილობრივ	37,625	ნაწილობრივ	8,176
მნიშვნელოვნად	8,634	მნიშვნელოვნად	3,163
სრულად	1,360	სრულად	1,366
გადაადგილების, დგომისკოორდინაციისდარღვევით	49,645	თვითმომსახურებისუნარისდარღვევით	21,076
ნაწილობრივ	31,618	ნაწილობრივ	11,871
მნიშვნელოვნად	14,145	მნიშვნელოვნად	5,554
სრულად	3,882	სრულად	3,651
სულ სხვადასხვა დარღვევით:			301,371
ნაწილობრივ			227,269
მნიშვნელოვნად			60,580
სრულად			13,522

მუნიციპალურ დონეზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რამდენიმე სამსახური და რაიონული გამგეობები, სადაც არსებობს შშმ პირთა მიმართვიანობა სხვადასხვა (ძირითადად ჯანდაცვისა და სოციალურ) საკითხებთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად აწარმოებენ მათ ელექტრონულ აღრიცხვას, თუმცა ეს მონაცემები არ არის სისტემატიზირებული და მათი წარმოება არ ხდება შშმ პირთა საჭიროებებზე სისტემური რეაგირების მიზანთან კავშირში.

#### V. სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტული ამოცანები

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ მუდმივად, სისტემურად და ყოველდღიურად მიმდინარეობდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. უკვე უახლოესი 3-4 წლის პერიოდში კონკრეტული, თვალსაჩინო შედეგების მისაღებად კი განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტული ამოცანები:

1. სტრატეგიული მიმართულება- მუნიციპალური სერვისების, საზოგადოებრივი ობიექტების და გარემოს მისაწვდომობა;

მიმართულება გულისხმობს მუნიციპალურ სერვისებსა და სამსახურებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომისა და მათი მოხმარების ზრდის ხელშეწყობას, ასევე საზოგადოებრივი ობიექტების (დაწესებულებების, შენობების, სივრცეების) და გარემოს მისაწვდომობას.

მიმართულება მოიცავს 4 პრიორიტეტულ ამოცანას:

- 1.1. მუნიციპალური სერვისების და სამსახურების ინკლუზიურობის გაზრდა;
- 1.2. საზოგადოებრივი სივრცეების, ობიექტების და სერვისების გონივრული მისადაგება, მისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა (ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ჩათვლით);
- 1.3. ინდივიდუალური მობილობის შესაძლებლობების გაზრდა;
- 1.4. სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარულ შემთხვევებში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება.

2. სტრატეგიული მიმართულება - დამოუკიდებელი ცხოვრება, საზოგადოებაში ინკლუზია და მონაწილეობა;

მოიცავს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და სოციალური ფუნქციონირების შესაძლებლობების გაძლიერების, იზოლაციისა და სეგრეგაციის შემცირების, საზოგადოებრივი სერვისების შშმპირთა სპეციფიურ საჭიროებებზე გონივრული მისადაგების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ღონისძიებებს. კერძოდ: სკოლამდელ აღზრდასა და ზოგად განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, აბილიტაციას და რეაბილიტაციას, სოციალურ დაცვას, დასაქმებას, პოლიტიკურ ცხოვრებაში, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობას.

მიმართულება მოიცავს 7 პრიორიტეტულ ამოცანას:

- 2.1. სკოლამდელი აღზრდა და ზოგადი განათლების ხელშეწყობა;
- 2.2. ჯანმრთელობის დაცვა;
- 2.3. აბილიტაცია-რეაბილიტაცია;
- 2.4. ცხოვრების ადეკვატურის ტანდარტი და სოციალური დაცვა;
- 2.5. დასაქმების და შრომის ხელშეწყობა;
- 2.6. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- 2.7. კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

3. სტრატეგიული მიმართულება - შშმ პირთა შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა, პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და შშმ პირთა და მათი ოჯახების ინფორმირება;

მოიცავს საზოგადოებაში შშმ პირთა მიმართ სტიგმის შემცირების, პოზიტიური განწყობებისა და დამოკიდებულებების ზრდის ღონისძიებებს.

მიმართულება მოიცავს 1 პრიორიტეტულ ამოცანას:

3.1. საზოგადოებაში შშმ პირთა შესახებ ცნობიერების გაზრდა, პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შშმ პირთა და მათი ოჯახების ინფორმირება.

4. სტრატეგიული მიმართულება - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი, ანგარიშგება და მონაცემთა წარმოება.

მოიცავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისთვის და ზოგადად, შშმ პირთა საკითხების მართვის (მენეჯმენტის) სათანადო მექანიზმის შექმნასა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მიმართულება მოიცავს 2 პრიორიტეტულ ამოცანას:

4.1. მართვის, კოორდინაციის, მონიტორინგის და შეფასების განხორციელება;

4.2. სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება.

აღსანიშნავია, რომ გეგმის წარმატებული და ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია სათანადო უფლებამოსილებებით და აღსრულების მექანიზმით აღჭურვილი, სპეციალური ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელიც მუდმივ რეჟიმში გაუწევს კოორდინაციას, მონიტორინგს და შეფასებას გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიმდინარეობას. მიზანშეწონილია ეს ერთეული არ იყოს გაერთიანებული რომელიმე მიმართულების (დარგობრივ) სამსახურში, არამედ იყოს მათგან დამოუკიდებელი, მერის ან მერის მოადგილის უშუალო დაქვემდებარებაში.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ პასუხისმგებელ სამსახურებში ღონისძიებების აღსრულების პროცესში ჩამოყალიბდეს შიდა ანგარიშგების სისტემა და დაინერგოს თვითშეფასების კრიტერიუმები/კითხვარები, მაგ; როგორ უზრუნველყოფთ ჩართულობას და მონაწილეობას განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში; როგორ ვურთიერთობთ შშმ პირებთან, როგორ ვუსმენთ, ვესაუბრებით, ვითვალისწინებთ მათ საჭიროებებს, ვაწვდით საჭირო ინფორმაციას და სერვისებს, ვგეგმავთ და ვაშენებთ შენობებს, ვაწყობთ საზოგადოებრივ ადგილებს, სივრცეებს და ა.შ.

VI. სამოქმედო გეგმა

1. სტრატეგიული მიმართულება – სტრატეგიული მიმართულება- მუნიციპალური სერვისების, საზოგადოებრივი ობიექტების და გარემოს მისაწვდომობა					
1.1 პრიორიტეტული ამოცანა- მუნიციპალური სერვისების და სამსახურების ინკლუზიურობის გაზრდა					
N	აქტივობა/ლონისძიება	ვადა	შედეგი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება (გამსხვებულ შრიფტით აღნიშნულია წამყვანი უწყება )
1.1.1	მუნიციპალური თანამშრომელთა სწავლება, შშმპირთა თაობაზე, ინკლუზიის მნიშვნელობაზე, მათთან სწორი ფორმებზე გათვალისწინების საჭიროებაზე.	2022-2024	შშმ პირთა საკითხებზე თანამშრომელთა ცოდნა და ცნობიერება გაზრდილია	ორ წელში ერთხელ ყველა თანამშრომელს (თანამდებობის პირების ჩათვლით) გავლილი აქვთ მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავეებსაბჭოსთან შეთანხმებული სასწავლოკურსი. სამსახურებში სწავლება ტარდება ყოველწლიურად	მსგს მერიის ადმინისტრაცია რგ ყველასაქალაქო სამსახური სსიპ-ქმს სსიპ-ას ა(ა)იპ-თსბბმს ა(ა)იპ-თგფ შპს-თსკ ა(ა)იპ-თმლ
1.1.2	შესყიდვების განმახორციელებელი, მშენებლობის ნებართვების გამცემი და ინსპექტირების სამსახურების დებულბების, შესყიდვის პროცედურების და რეგულაციების	2021-2022	შესყიდვების განმახორციელებელი სამსახურების დებულბები მკაფიოდ ასახავს	დებულბები მოწონებულია მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ	სსიპ-ას რგ მი იგსს

	გადახედვა და შშმპირთა მისაწვდომობის და ინკლუზიურობის შესახებ უფლებამოსილებების ფუნქციებისა და ვალდებულებების საკითხის ადეკვატური ასახვა-განსაზღვრა.		სამსახურის უფლება-მოვალეობებს შშმპირთა მისაწვდომობის კუთხით	სამსახურის უფლება-მოვალეობებს შშმპირთა მისაწვდომობის და ინკლუზიის საკითხების მიმართ მგრძობიანობა გაზრდილია	კითხვარები შემუშავებულია და ფორმალიზებულია (დამტკიცებულია). იგი გამოიყენება ყველა სამუშაოს დაგეგმვის, განხორციელების და დასრულების შემდეგ.	მშსს
1.1.3	მუნიციპალური სამსახურების საქმიანობაში მისაწვდომობის საკითხების გათვალისწინება. ტრანსპორტის, შენობა - ნაგებობების, საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების და ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის/ინკლუზიურობის შეფასების კითხვარების შედგენა.	2021-2023	მუნიციპალურ სამსახურებში	მუნიციპალურ სამსახურებში მისაწვდომობის და ინკლუზიის საკითხების მიმართ მგრძობიანობა გაზრდილია	კითხვარები შემუშავებულია და ფორმალიზებულია (დამტკიცებულია). იგი გამოიყენება ყველა სამუშაოს დაგეგმვის, განხორციელების და დასრულების შემდეგ.	თმლ იგსს კვსასსს ეგსს მი გდსს სსიპ-ტუგს სსიპ-ას ა(ა)იპ-მსგს ა(ა)იპ-თგფ ა(ა)იპ-თპგფ შპს-თსკ
1.1.4	საემისწარმოების/დოკუმენტრუნვის სისტემის ადაპტირება. ტექნიკურად და შესაბამის ფორმატში დოკუმენტების შემწნა და/ან გადაყვანა.	2021-2023	შშმ პირებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მერიის სამსახურებთან ოფიციალური კომუნიკაცია	შშმ პირებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მერიის სამსახურებთან ოფიციალური კომუნიკაცია	დოკუმენტრუნვის სისტემაში დანერგილია ბრაილის შრიფტი, მსხვილი შრიფტი. დოკუმენტრუნვის სისტემაში დანერგილია ადაპტირებული ფორმატები	სსიპ-მსგს

1.1.5	ელექტრონული ადაპტირება	სერვისების	2022-2024	<p>შპს პირებს შუამდიათ მერიის ელექტრონული სერვისებით სარგებლობა</p>	<p>მერიის ელექტრონული სერვისები მოიცავს ყველა ძირითად სერვისს და ადაპტირებულია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის (my.municipal.gov.ge) (Tbilisi.gov.ge) ყოველწლიურად იზრდება ელ.სერვისებით მოსარგებლე შპს-პირთა რაოდენობა. ელ.სერვისების გამოყენებისთვის ვიდეო და აუდიო ფორმატის ინსტრუქციები მომზადებულია</p>	<p>ა(ა)იპ-მსგს მერიის ადმინისტრაცია</p>
1.1.6	ცხელი ხაზის ოპერატორების სწავლება და ტექნიკური აღჭურვა შპს პირებთან კომუნიკაციისთვის	სერვისების	2021-2023	<p>შპს პირებს შუამდიათ დამოუკიდებლად მერიის ცხელ ხაზთან კომუნიკაცია</p>	<p>მერიის ცხელი ხაზით უზრუნველყოფილია მტშ-ის, შესტური ენით მოსარგებლებისთვის ვიდეო-ხარის(სურდოთ არჩივლების</p>	<p>ა(ა)იპ-მსგს</p>

					მონაწილეობით) და ხმოვანი შეტყობინებების მიღებისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებით. ყველა ოპორატორი გადაშვადებულია შშმ პირებთან კომუნიკაციის საკითხებში		
1.1.7	სერვისცენტრების ადაპტირება (მისაწვდომობა) ყველა შეზღუდვის ტიპის პირებისთვის. (ტექნიკური ბილინგების, პანდუსების მოწყობა. ბრაილის შრიფტის გამოყენება, სურდოთარჯიმნებით მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა)	2021-2024	შშმ შეუძლიათ სერვისცენტრებში საჭირო მომსახურებების მიღება	პირებს	მერიის ყველა სერვისცენტრის ინფრასტრუქტურა, პროცედურები ადამიანური რესურსები შეფასებულია, ადაპტირების გეგმა დამტკიცებული და განხორციელებულია	ა(ა)იპ-მსგს რგ	
1.1.8	მერიის სამსახურების და უწყებების ვებ-გვერდების ადაპტირება პირებისთვის	2022-2024	უსინათლო და სმენადაქვეითებუ ლი პირები სარგებლობენ მერიის ვებგვერდით	და	მერიის ვებ გვერდი ადაპტირებულია უსინათლო და სმენადაქვეითებული შშმსთვის (ტექსტის გადიდება, ფონი, ტექსტის წაკითხვა, სუბტიტრები,	ა(ა)იპ-მსგს	

1.1.9	<p>მერიის (სამსახურების და სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით) ყველა პროგრამაში, გეგმასა და სტრატეგიაში შშმპირთა ინკლუზიის გათვალისწინება ასევე მათ შშმპირთა შემუშავებაში უზრუნველყოფა და მონაწილეობის უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება</p>	2021-2024	<p>ინკლუზიური პრინციპი გატარებულია მერიისა და სამსახურების სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში</p>	<p>შესტური გამოყენება) მერიის ყველა ახალი გეგმა და სტრატეგია განაღებულა ინკლუზიურობის კუთხით (შთანხმებულია მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსთან, შშმ პირები და/ან მათი წარმომადგენლები ჩართული არიან სამუშაო ჯგუფ(ებ)ში)</p>	<p>ენის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (ყველაშესაბამისი სამსახური)</p>
1.1.10	<p>შშმ პირებთან მათ წინაშე არსებული ბარიერების და პრობლემების შესახებ უკუკავშირის და მათი გათვალისწინების მექანიზმის შექმნა (ცხელი ხაზით, წერილობით, შეტყობინებით და სხვა ფორმით ინფორმაციის მიღების წახალისება, შემოსული ინფორმაციის სისტემატიზაცია, რეაგირებაზე ზედამხედველობა)</p>	2021-2022	<p>არსებობს შშმპირებთან შეუფერხებელი უკუკავშირის მიღების დარეაგირების მექანიზმი</p>	<p>შშმ პირებთან უკუკავშირის წესი დამტკიცებულია. შშმპირებისგან შემოსული უკუკავშირის რ/ბა (წერილი/განცხადება/საჩივარი/შეტყობინება ) და მათზე რეაგირების მაჩვენებელი.</p>	<p>ა(ა)იპ-მსგს რგ</p>

1.1.11	მერიის მიერ გამართული, მედიაში გაშუქებადი ბრიფინგების, სხდომების, ვიდეო და ვიზუალური მასალების სურდოთარგმანით უზრუნველყოფა	2021-2023	ხდება შპმ პირთა ინფორმირება მერიის საქმედოპოლის შესახებ	ხდება მერიის მედიაში გამართული მედიაში-გაშუქებადი ყველა ბრიფინგის, სხდომის სურდოთარგმან/სურდოთარგმანის, ვიდეო და ვიზუალური მასალების გამოყენება. შესაბამისი წესი დამტკიცებულია.	ა(ა)იპ-სდმუს
1.1.12	მერიის ორგანიზებულ ღონისძიებებში შპმპირთა მონაწილეობის/მისაწვდომობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოსა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა	2021-2022	მერიის ორგანიზებულ ღონისძიებებში შპმპირთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია	მერიის ორგანიზებულ ღონისძიებებში შპმპირთა მონაწილეობის სახელმძღვანელო და პროცედურები შემუშავებული და დანერგულია	მერიის ადმინისტრაცია ის კვსასს რგ
1.1.13	წინამდებარე მისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე პირებისთვის (მსხვილი შრიფტი, ბრაილი, აუდიო ვერსია, მარტივი კითხვის, მარტივი ენის, ჟესტური ენის) ვერსიების გამოცემა და გავრცელება.	2021-2022	გეგმა მისაწვდომია ყველა შეზღუდვის მქონე პირისთვის	გეგმის ელექტრონული ვერსია განთავსებულია მერიის ვებ გვერდზე. გავრცელებულია შპმ პირთათვის	ა(ა)იპ-მსგს

1.2 პრიორიტეტული ამოცანა- საზოგადოებრივი სივრცეების, ობიექტების და სერვისების გონივრული მისადაგება, მისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა (ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ჩათვლით)					
1.2.1	მერიის, მისი სამსახურების და დაქვემდებარებული ადმინისტრაციული მისაწვდომობის ადაპტირების საკართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დამტკიცებული რეგლამენტი-მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით.	2021-2022	არსებობს მერიის, სამსახურების უწყებების ადაპტირების ფორმალური საფუძვლები და ნორმალები	აუდიტის ანგარიში და ადაპტირების გეგმა მომზადებულია დამტკიცებულია	იგს რგ სსიპ-ქმს
1.2.2	მერიის დაქვემდებარებაში საზოგადოებრივი ტურისტული თეატრების მუზეუმების და მისაწვდომობის სტანდარტების მიხედვით.	2021-2022	არსებობს საზოგადოებრივი ტურისტული ობიექტების, კინო-თეატრების, სპორტული ობიექტების, მუზეუმების ადაპტირების საფუძვლები და ნორმალები	საზოგადოებრივი და ტურისტული კონო-თეატრების, სპორტული ობიექტების, მუზეუმების ადაპტირების დამტკიცებულია	სსიპ-ტუგს კვსასს ა(ა)იპ-თმგ სსიპ-ას ა(ა)იპ-თმგ
1.2.3	შპს პირთა იდენტიფიცირება (კვლევის ჩატარება) ვისაც საცხოვრისების (ლიფტები, ამწეები) რომლის	2021-2024	შპს პირებს შუემლიათ საცხოვრებლიდან და	კვლევა ჩატარებულია ადაპტირების მოდელები განსაზღვრულია,	რგ იგს

	<p>საფუძველზე ინდივიდუალურისაჭიროებების გათვალისწინებით შეირჩევა ადაპტირების მოდელები (შესწავლა, მომზადება, მისადაგება) და განხორციელდება ადაპტირება/შეკეთება</p>	<p>საცხოვრებლისკენ დამოუკიდებლად გადაადგილება</p>	<p>ყველა იდენტიფიცირებული პირისთვის ადაპტირების გეგმა შემუშავებულია, შესაბამისი პროგრამა დამტკიცებულია</p>	
1.2.4	<p>ტექნიკური რეგლამენტი- მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილების აღსრულების მექანიზმის შემუშავება</p>	<p>ობიექტების ადაპტირებისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძველი შექმნილია</p>	<p>ობიექტების ადაპტირების გეგმა დამტკიცებულია და მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობები განსაზღვრულია</p>	<p>სსიპ-ქმს სსიპ-ას იგსს მი რგ</p>
1.2.5	<p>სამშენებლო ნებართვების გამცემი და ინსპექტირების განმახორციელებელი კადრების გადამზადება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით.</p>	<p>სამშენებლო ნებართვების გამცემი და ინსპექტირების განმახორციელებელი კადრები ცოდნას მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესახებ</p>	<p>სამშენებლო ნებართვების გამცემი და ინსპექტირების განმახორციელებელი სამსახურების ყველა თანამშრომელი გადამზადებულია</p>	<p>ა(ა)იპ-მსგს სსიპ-ას მი</p>
1.2.6	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენებული და მშენებარე საზოგადოებრივი ობიექტების მისაწვდომობის ეროვნული</p>	<p>საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ობიექტები დამოუკიდებლად</p>	<p>აშენებული და მშენებარე ობიექტები რეკონსტრუქციის გეგმა მისაწვდომობის ეროვნული</p>	<p>იგსს მი სსიპ-ას</p>

	სტანდარტების რეკონსტრუქციის გეგმის შედგენა.	მიხედვით		მისაწვდომია ყველა პირისთვის	სტანდარტების მიხედვით დამტკიცებულია	
1.2.7	საცხოვრებელი ობიექტების გამაგრება-რეაბილიტაციისას საჭიროებების მისაწვდომობის სტანდარტების შესაბამისად.	რეაბილიტირებულ ობიექტებში შპმ გათვალისწინდება ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.	2021-2024	რეაბილიტირებულ ობიექტებში შპმ პირებს შეეძენება ადეკვატური ფიზიკური გარემო	რეაბილიტაციისას ყველა ობიექტში გათვალისწინებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი	იგსს რგ
1.2.8	მოედნების, ისტორიული უბნების, შენობების და ობიექტების რესტავრაცია-რეკონსტრუქციის მისაწვდომობის სტანდარტების მიხედვით განხორციელება. ამასთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა-გათვალისწინება, შესაბამის პროცედურებში და წესებში ასახვა, პროექტების დაგეგმვისას, ინსპექტირების განხორციელებისას და ჩაბარებისას.	ეროვნული და სტანდარტის უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით ობიექტების რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძველი შექმნილია	2021-2022	მისაწვდომობის ეროვნული და სტანდარტის უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით ობიექტების რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძველი შექმნილია	ყველა ასეთი ობიექტის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის ადაპტირებისთვის საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით გაიდლაინები შემუშავებულია	ა(ა)იპ-თგფ იგსს
